ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3164583

ნომერი: AR1487128

თარიღი : 16.03.2017

გაცემის თარიღი : 24.03.2017

გაცნობის თარიღი : 24.03.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი-3 , მიკრო/რაიონი II , (ნაკვეთი 31/023) / ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი , მიკრო/რაიონი II , ნაკვეთი 31/4-ის მომიჯნავედ სამხრეთ-აღმოსავლეთით (ნაკვეთი 31/018);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ თარაშვილი პ/ნ 08001003327
- ვარკეთილის3 მე-2 მ/რ,25ა კორპუსი ბინა 19.

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- II კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : ბრძანება #2792026
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 22.08.2016

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი ელექტრონული განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, დასახლება ვარკეთილი-3, მე-2 მ/რ, (ნაკვ. #31/023)/ დასახლება ვარკეთილი, მე-2 მ/რ, ნაკვ. #31/4-ის მიმდებარედ სამხრეთ-აღმოსავლეთით, შპს "სტარ ვოშ"-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.19.39.031.028), მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (საზოგადოებრივი და საყოფაცხოვრებო ობიექტი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2017 წლის 16 თებერვლის #ბ-10/01170261165-17 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევების წერილობით დადასტურებას.

“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 24.03.09 წ. #57 დადგენილების 62-ე მუხლის პირველი პუნქტის “პ” ქვეპუნქტის თანახმად, სამსახური ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, დასახლება ვარკეთილი-3, მე-2 მ/რ, (ნაკვ. #31/023)/ დასახლება ვარკეთილი, მე-2 მ/რ, ნაკვ. #31/4-ის მიმდებარედ სამხრეთ-აღმოსავლეთით, შპს "სტარ ვოშ"-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.19.39.031.028), მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (საზოგადოებრივი და საყოფაცხოვრებო ობიექტი) ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2017 წლის 16 თებერვლის #ბ-10/01170261165-17 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევებით განხორციელებული მშენებელობის ქალაქმშენებლობით მოთხოვნებთან შესაბამისობას და მათ დასაშვებობას ობიექტის შემდგომი ექსპლუატაციაში მიღების მიზნით.

წინამდებარე წერილობითი დადასტურება განიხილება პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე სამსახურის 22.08.2016 წ. №2792026 ბრძანებასთან ერთად და წარმოადგენს მშენებლობის ნებართვის განუყოფელ ნაწილს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.